საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "13" 08 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1239/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის ცნობაზე

2013 წლის 24 ივნისს N 72813/03 განცხადებით შპს „იგრიკა 97"-ს წარმომადგენელმა გიორგი საყვარელიძემ (მის: აკაკი წერეთლის ქუჩა 18, ბინა 19, ბაღდათი, საქართველო) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „წყაროს წყალი ზედა დიმი მაღალმთიან ხეობიდან" (რეგ. N 24017) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „წყაროს წყალი ზედა დიმი მაღალმთიან ხეობიდან" (რეგ. N 24017) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 13.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 13.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „წყაროს წყალი ზედა დიმი მაღალმთიან ხეობიდან" (რეგ. N 24017) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 356), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 13.09.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252795
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „იგრიკა 97"-ის წარმომადგენელს გიორგი საყვარელიძეს (მის: აკაკი წერეთლის ქუჩა 18, ბინა 19, ბაღდათი, საქართველო)

ასლი დედანთან სწორია
13 " 09 2013წ.
ხელმოწერა